სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 06 თებერვალი, 2024
სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
მისამართი: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1.
სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ნათია კორკოტაძე, ტარიელ კაკაბაძე, თორნიკე ბაქრაძე, ია გაბედავა, ინგა სეხნიაშვილი, რაისა ლიპარტელიანი, როინ მიგრიაული, დიანა გვიშიანი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) თამარ ჭალიძის და თამარ მეფარიშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ ჭალიძის და თამარ მეფარიშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) სალომე ადეიშვილის და გიორგი პაპუაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი აქვთ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადება თანდართული დოკუმენტებით აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ “საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სალომე ადეიშვილის და გიორგი პაპუაშვილის განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

თამარ ხუხიას, დავით ფუხაშვილის, ანა კიკვაძის, თამარი კიკვაძის და ნინო გოგიას განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამარ ხუხიას, დავით ფუხაშვილის, ანა კიკვაძის, თამარი კიკვაძის და ნინო გოგიას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ თამარი ჭალიძის, ცირა ხუნწარიას, აკაკი გეწაძის და **2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების** - გიორგი გიორგაძის, თამარ ბერუაშვილის, მარიამ გელაძის, დარიკო ჯახაიას, თეა თადაშვილის, სალომე ჩხეიძის, ანი პარანიჩევის, გრიგოლ კიკაბიძის, გიორგი ომიაძის და სალომე ქურდიანის განცხადებებს "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2024 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის, "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: "საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა" ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ" ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა".

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამარი ჭალიძის, ცირა ხუნწარიას, აკაკი გეწაძის და 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების - გიორგი გიორგაძის, თამარ ბერუაშვილის, მარიამ გელაძის, დარიკო ჯახაიას, თეა თადაშვილის, სალომე ჩხეიძის, ანი პარანიჩევის, გრიგოლ

კიკაბიძის, გიორგი ომიაძის და სალომე ქურდიანის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს ეცნობოთ მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციის კანდიდატურის წარდგინების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2024 წლის 25 იანვარს გამოცხადებული ღია კონკურსის შესახებ, რომელიც შეეხებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26[1] მუხლისა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის და 23[2] მუხლების შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციიდან წარსადგენი 1 წევრის შერჩევას.

ასოციაციის მიერ, ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით (www.gba.ge), იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში წარსადგენი 1 (ერთი) წევრის შესარჩევად გამოცხადდა ღია კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის მიზნით, განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2024 წლის 02 თებერვლის 17:00 საათამდე. თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ერთმა პირმა - ადვოკატმა პავლე აბაიაძემ, რომლებმაც კონკურსით გათვალისწინებულ ვადაში წარმოადგინა საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 21 პუნქტის შესაბამისად, იურიდიული დახმარების საბჭოს წევრად ადვოკატთა ასოციაციის მიერ უნდა შეირჩეს მაღალი რეპუტაციის მქონე ადვოკატი, რომელსაც აქვს საადვოკატო საქმიანობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. თავმჯდომარემ განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ადვოკატი პავლე აბაიაძე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში წარსადგენი 1 (ერთი) წევრის არჩევის საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრები გაეცნენ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

აღნიშნულ საკითხზე, თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი კანდიდატურის განხილვის საკითხი. კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: კანონმდებლობით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ იურიდიული დახმარების

საბჭოს წევრად, 3 წლის ვადით, არჩეულ იქნეს ადვოკატთა ასოციაციის წევრი პავლე აბაიაძე (სიითი N 2503).

საკითხი 5. 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე საკითხის განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2024 წლის 06 თებერვლის მდგომარეობით, ასოციაციის 1871 წევრს უფიქსირდება 2024 წლის საწევრო დავალიანება. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასოციაციის შემოსავლების ძირითად წყაროს საწევრო შენატანები წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისა და ასოციაციის ყველა მიმართულების შეუფერხებელი საქმიანობისთვის. ამდენად, მიზანშეწონილია 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

მსჯელობის შედეგად, აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. **ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

(ა) 2024 წლის 06 თებერვლიდან დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით;

(ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განისაზღვროს ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება: სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1;

(გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 06 თებერვალი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 29 (ოცდაცხრა) კალენდარული დღე;

(დ) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა გამოვლენა და წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

(ე) ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც აქვთ საწევრო დავალიანება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების თანახმად გამოცხადდეს საჯაროდ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე,

საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრთა სია, ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე, განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gba.ge და ამასთან, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, "დ" ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2024 წლის 06 მარტი.

(ზ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2024 წლის 06 მარტი.

(თ) წინამდებარე გადაწყვეტილების „ვ" პუნქტის თანახმად, საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სიის გამოქვეყნებამდე, ასოციაციის ფინანსურ მენეჯერს დაევალოს აღნიშნული სიის დაზუსტება.

საკითხი 6. 2024 წლის საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებებს. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა გადაიდოს და განხილულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა გადაიდოს იმ სხდომაზე, სადაც განხილულ იქნება ადმინისტრაციული წარმოება და განისაზღვრება შესაბამისი გადახდის ვადები.

საკითხი 7. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ლევან ჭიღლაძის განცხადების განხილვა.

აღმასრულებელი საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის სხდომაზე განხილულ იქნა ლევან ჭიღლაძის განცხადება და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, განმცხადებელი მოწვეულიყო აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე.

განმცხადებელი დაესწრო სხდომას და პირადად გააცნო აღმასრულებელი საბჭოს წევრებს თავისი ინიციატივა. განმცხადებლის ინიციატივით მას სურს, ადვოკატთა ასოციაციაში ადვოკატებთან უფრო მეტად დაახლოებისა და ჩართულობის მიზნით შეიქმნას „ადვოკატთა საფიხვნო". მისი განმარტებით, აღნიშნული ინიციატივა მოიცავს კულტურულ ღონისძიებებს, შემოქმედებით საღამოებს და ა.შ.

წევრებმა მოისმინეს ლევან ჭიღლაძის ინიციატივა და აღნიშნეს, რომ აღნიშნული ინიციატივა საჭიროებს მეტად დახვეწას და სტრუქტურულ ფორმაში მოყვანას. წევრებმა განმცხადებელს შესთავაზეს, რომ მოეფიქრებინა და წარმოედგინა დეტალური ახსნა თუ რა ფორმით უნდა შექმნილიყო „ადვოკატთა საფიხვნო", სჭირდებოდა თუ არა დებულება, როგორ უნდა გაწევრიანებულიყვნენ ადვოკატები და ა.შ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ლევან ჭიღლაძის ინიციატივის განხილვა გადაიდოს მანამ, სანამ განმცხადებელი წარმოადგენს თავისი ინიციატივის სტრუქტურილიზებულ ფორმას.

(ბ) დავით ებრალიძის განცხადების განხილვა.

წევრები, 2024 წლის 25 იანვრის სხდომაზე გაეცნენ დავით ებრალიძის განცხადებას და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, განმცხადებელი მოწვეულიყო აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე.

განმცხადებელი დაესწრო სხდომას და პირადად გააცნო აღმასრულებელი საბჭოს წევრებს განცხადების შინაარსი. განმცხადებლის განმარტებით „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი შეიცავს ისეთ ჩანაწერს, რომელიც იმ ყველ ადამიანს, რომელიც იურისტად მუშაობს საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში, ექვემდებარება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის რეგულაციას, სერტიფიცირებას. შესაბამისად, განმცხადებლის ინიციატივით, ადვოკატთა ასოციაციამ უნდა დაავალდებულოს საჯარო და კერძო დაწესებულებები, რომ იურისტის ვაკანსიაზე გამოცხადებულ პოზიციაზე, აყვანილ იქნენ მხოლოდ ადვოკატები.

წევრები დეტალურად გაეცნენ განმცხადებლის ინიციატივას და მას დაუსვეს შეკითხვები, რაზეც გაცემულ იქნა პასუხები.

თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს და განმცხადებელს შესთავაზა, რომ ჩატარებულიყო გაერთიანებული სხდომა სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტთან და აღმასრულებელ საბჭოს წევრებთან ერთად, სადაც დეტალურად იქნება განხილული წარმოდგენილი ინიციატივა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: უახლოეს მომავალში მოწვეულ იქნეს გაერთიანებული სხდომა სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტთან და აღმასრულებელ საბჭოსთან ერთად.

(გ) მარიამ პაპოშვილის, საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ, განცხადების განხილვა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც პენსიონერი და რეგიონში მოქმედი ადვოკატი, სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 75%-იანი საშეღავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2024 წლის საწევროს რაოდენობა შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს. განმცხადებელი მომართავდა საბჭოს თხოვნით გათავისუფლებულიყო 2024 წლის საწევრო გადასახადის გადახდისგან.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მარიამ პაპოშვილის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს მარიამ პაპოშვილის განცხადება 2024 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(დ) ლაშა ჯანიბეგაშვილის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ლაშა ჯანიბეგაშვილის განცხადებამ. მათ განაცხადეს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება აღმასრულებელი საბჭოს მიერ ცნობად უნდა იქნეს მიღებული და განსახილველად უნდა გადაეცეს ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნეს მიღებული ლაშა ჯანიბეგაშვილის განცხადება და განსახილველად გადაეცეს ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტს.

(ე) თამარ გულხადარაშვილის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ თამარ გულხადარაშვილის განცხადებას. განმცხადებლის განმარტებით, ამჟამად იგი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს რეგიონში, მაგრამ ჯერ არ გაუვლია შესაბამისი რეგისტრაცია.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს გადახდილი ჰქონდა საწევრო 100 (ასი) ლარის ოდენობით და მომართავდა საბჭოს თხოვნით, რომ სანამ გაივლიდა შესაბამის რეგისტრაცია, საწევრო შეღავათის გავრცელების მიზნებისათვის, მანამდე არ შეწყვეტოდა ასოციაციის წევრობა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: თამარ გულხადარაშვილის განცხადება განხილულ იქნეს საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებებთან ერთად.

(ვ) ლაშა ფარცვანიას განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ლაშა ფარცვანიას განცხადებას. განმცხადებლის განმარტებით იგი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებდა რეგიონში და შესაბამისად საწევროს იხდიდა 100 (ასი) ლარის ოდენობით. იგი ამჟამად საადვოკატოს საქმიანობას ახორციელებს თბილისში, რის საფუძველზეც საწევრო უნდა გადაეხადა 200 (ორასი) ლარის ოდენობით. განმცხადებელი მომართავდა საბჭოს, საწევროს გადახდის ვალდებულება გადავადებოდა გონივრული ვადით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ლაშა ფარცვანიას განცხადება განხილულ იქნეს საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებებთან ერთად.

(ზ) ელდარ ნეფარიძის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ელდარ ნეფარიძის განცხადებას. განმცხადებლის განმარტებით იგი არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსი, რის შესაბამისადაც ეკუთვნოდა საწევრო შეღავათი (განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს ვეტერანის მოწმობა). განმცხადებელი

მომართავდა ასოციაცია, რათა გავრცელებოდა შესაბამისი საწევრო შეღავათი, გადახდილად ჩათვლოდა 2024 წლის საწევრო და ზედმეტად გადახდილი საფასური დაბრუნებოდა უკან.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1-ლი თებერვლის, 2007 წლის 31 მაისის, 2010 წლის 19 მაისის, 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებებში და განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები ისარგებლებენ საწევრო შეღავათებით, შესაბამისად ელდარ ნეფარიძის განცხადება ექვემდებარება ნაწილობრივ დაკმაყოფილებას და მას წინსწრებით გადახდილად ჩაეთვალოს შემდგომი წლების საწევრო.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ელდარ ნეფარიძის განცხადება და განმცხადებელს 2027 წლის ჩათვლით საწევრო შენატანი ჩაეთვალოს გადახდილად.

2. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

3. მიღებული გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს ფინანსურ მენეჯერს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე